



I-IV კლასის გოგონების მოსწავლის ფორმა

კაბა და პიჯაკი

ქსოვილი "პრეზიდენტი", ფერი - მუქი ლურჯი. კაბა: სხეულზე ოდნავ თავისუფალი სილუეტის უსახელო კაბის კალთისა და ზურგის დეტალები გაფორმებულია რელიეფური ამოღებულებით. კალთის გულისპირი ოთხკუთხედი ფორმისაა, კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ზურგის დეტალის შუა ხაზი სრულდება დილითა და დილკილოთი ან ელვაშესაკრავით. ნაწარმის დეტალს ამთლიანებს წელის ხაზზე მიკერებული ქვედა დეტალი ნახევარ მზისთვალა (პოლუკლოში). კაბის სიგრძე განისაზრება არებული ზომის მიხედვით, მუხლამდე. პიჯაკი: გაფორმებულია კალთისა და ზურგის დეტალები რელიეფური ამოღებულობებით. კალთის დეტალზე დაკერებულია ზედნადები მომრგვალებული რელიეფური ჯიბეები. პიჯაკს ამთლიანებს ჩეკერებული გადაფენილი ოვალური საყელო და სახელოები. ნაწარმის კალთის ბოლო მომრგვალებული ფორმისაა. გულისპირის შესაკრავი 4-5 დილითა და დილკილოთი სრულდება. პიჯაკის სიგრძე განისაზრდება ადებული ზომის მიხედვით, თქმოს ხაზამდე.






V-IX კლასის გოგონების მოსწავლის ფორმა

კაბა და პიჯაკი

ქსოვილი "პრეზიდენტი", ფერი - მუქი ლურჯი. კაბა: სხეულზე ოდნავ თავისუფალი სილუეტის უსახელო კაბის, კალთისა და ზურგის დეტალები გაფორმებულია რელიეფური ამოღებულობებით. კალთის გულისპირი ოთხკუთხედი ფორმისაა, კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ზურგის დეტალის შუა ხაზი სრულდება დილითა და დილკილოთი ან ელვაშესაკრავით. ნაწარმის დეტალს ამთლიანებს წელის ხაზზე მიკერებული ქვედა დეტალი „ტრაპეციის“ ფორმის კალთის მხარე გაფორმებულია ორი შემხვედრი ნაკეცებით (ბანტოვკა) კაბის სიგრძე განისაზღვრება ადებული ზომის მიხედვით, მუხლის ქვემოთ. პიჯაკი: გაფორმებულია კალთისა და ზურგის დეტალები რელიეფური ამოღებულობებით. კალთის დეტალზე დაკერებულია ზედნადები მომრგვალებული რელიეფური ჯიბეები. პიჯაკს ამთლიანებს ჩეკერებული გადაფენილი ოვალური საყელო და სახელოები. ნაწარმის კალთის ბოლო მომრგვალებული ფორმისაა. გულისპირის შესაკრავი 4-5 დილითა და დილკილოთი სრულდება. პიჯაკის სიგრძე განისაზღვრება ადებული ზომის მიხედვით, თეძოს ხაზამდე.









X – XII კლასის გოგონების მოსწავლის ფორმა

კაბა და პიჯაკი

ქსოვილი "პრეზიდენტი", ფერი - მუქი ლურჯი. კაბა: კალთისა და ზურგის დეტალები გაფორმებულია რელიეფური ამოღებულობებით. კალთის გულისპირი ოთხკუთხედი ფორმისაა, კუთხეები ოდნავ მომრგვალებულია. ზურგის დეტალის შუა ხაზი სრულდება ელვაშესაკრავით და ბოლოში შეხსნილით (შლიცი). კალთის დეტალი გაფორმებულია თეძოს ხაზზე ნაკეცებით. ნაწარმის სიგრძე განისაზღვრება ადებული ზომის მიხედვით, მუხლის ქვემოთ. ან ქვედაბოლო ქვედაბოლო: სწორი სილუეტის მოდელი ბოლოში ჩავიწროვებულია. ზურგის შუა ხაზი გაფორმებულია ელვაშესაკრავითა და შეხსნილით (შლიცი). ქვედაბოლოს წელის ხაზში ჩაკერებულია სათავე, რაც ზურგის შუა ხაზში შესაკრავი 1 დილითა და დილკილოთი სრულდება. ნაწარმის სიგრძე განისაზღვრება არსებული ზომის მიხედვით, მუხლის ქვემოთ. პიჯაკი: გაფორმებულია კალთისა და ზურგის დეტალები რელიეფური ამოღებულობებით. კალთის დეტალზე დაკერებულია ზედნალები მომრგვალებული რელიეფური ჯიბეები. პიჯაკს ამთლიანებს ჩეკრებული გადაფენილი ოვალური საყელო და სახელოები. ნაწარმის კალთის ბოლო მომრგვალებული ფორმისაა. გულისპირის შესაკრავი 4-5 დილითა და დილკილოთი სრულდება. პიჯაკის სიგრძე განისაზღვრება ადებული ზომის მიხედვით, თეძოს ხაზამდე.





I – XII კლასის ვაჟების მოსწავლის ფორმა

პიჯაკი და შარვალი

ქსოვილი "პრეზიდენტი", ფერი - მუქი ლურჯი. I-XII კლასის მოსწავლეთათვის ერთნაირია პიჯაკი: გაფორმებულია კალთისა და ზურგის დეტალებზე კოკეტკით და რელიეფური ამოღებულობებით. კალთის დეტალზე დაკერებულია მომრგვალებული რელიეფური ზედნადები ჯიბეები. ჯიბეები დამუშავებულია შემხვედრი ნაკეცებით რასაც ასრულებს კანტი. ზურგის შუა ხაზი გაფორმებულია შემხვედრი ნაკეცით და წელის ხაზში ჩაკერებული სარტყელით. ზურგის შუა ხაზის ბოლოს ასრულებს შეხსნილი (შლიცი). პიჯაკს ამთლიანებს ორნაკერიანი სახელო და ჩაკერებული მდგარი (სტოიკა) საყელო. სახელოს იდაყვის ხაზის ბოლოს დაკერებულია 4-4 დილი. ასევე გულისპირზე შესაკრავი 5-6 დილითა და დილკილოთი სრულდება. შარვალი: სწორი სილუეტის კლასიკური შარვალი ბოლოში ჩავიწროებულია (ბუტილკა), სიგრძე განისაზღვრება ადებული ზომის მიხედვით. ნაწარმის ბოლოს ასრულებს კანტი.

